28 ივნისს (10 ივლისს) 1868. № 26. მესამე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: — გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

შინაარსი: ტფილისი.—პოლიტიკა: სერბია.—ველებური მზითვის წიგნი.—ბენუას საქმის ძწარმოება (დასასრული).—სხვა და სხვა ცნობები: მამალი ინდოურის ხმარება ქათმის წიწილების გამოსაჩეკათ.—შურების გაბერწების მიზეზი.—სახაზინო განცხადება.—საბიბლიოგრაფიო ცნობა.—კერძოობითი განცხადება.—

ტფილისი.

მისის იმპერატორებითის შმაღლესობის ალექსი ალექსანდრეს ძის ყოფნის ამბავზე გვაცნობებს აქაური რუსული გაზეთი „კავკაზი“ შემდეგსა: „21 ამ თვისას დილის რვა საათზე დიდუბის მინდორზე შეკრებილ-იყო ჯარები ტფილისის გარნიზონისა. ქუკიის გზაზე ნემეცების კალონიაში შესასვლელ ადგილს ლამაზათ გაკეთებულ და მწვანით და ყვაყილებით მორთულ კამარასთან აქაური ნემენცები დახვედნენ ყმაწვილებითა. შმაწვილებმა იგალობეს მისაგებებელი ჰიმნოსი.

„ჯარის დახედვის (სმოტრის) დროს მისი შმაღლესობა ჯარების მამაცურის და კარგის შეხედულობით კმაყოფილი დარჩა; დახედვის შემდეგ ინება გაშინჯვა ტფილისის ობსერვატორიისა, ახლათ აშენებულის ოშპიტლისა, ტფილისის მუზეუმისა და წმ. ნინოს სასწავლებლისა.

„შუადღისას სასახლეში მიღებულ იქმნენ ყველა სარწმუნოების უმთავრეს სასულიეროს წოდების პირნი, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი მეექვსე კლასამდის, თავად-აზნაურთ წარმომადგენელნი და თავად-აზნაურნი და ტფილისის თავი ქალაქის სამმართველო გამგეობის წევრებით; ნაშუადღევის 4 საათზე სასახლეში იყო დიდი სადილი, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ ჩვენი ქალაქის უუპატივცემულეს პირთაგანნი. სადილს შემდეგ მისმა იმპერატორებითმა შმაღლესობამ ინება შინჯვა ქალაქისა და ბაღებისა: ბოტანიკურისა, ალექსანდროვისა (ყაბახისა) და მუშტაიდისა. ამ უკანასკნელ ბაღში შაეგუსტესმა სტუმარმა ინება საღამოს გატარება საზოგადოების თანა დასწებით და ჩაი მიირთვა.

მათი შმაღლესობა ალექსი ალექსანდრეს ძე და ჩვენი ნამესტნიკი ტფილისიდგან გაბძანდნენ შაბათს თიბათვის 22-სა დილის მეშვიდე საათის ნახევარზე. ბორზე გაუელიათ თორმეტ საათზე, სურამზე ოთხ საათზე და ბორჯომს მისულან საღამოს მეშვიდე საათზე.

უ. უფროსი შმთავრესის სამმართველოსი (ბარონი ნიკალაი) თიბათვის 28-დგან მიიღებს დოკლადებსა და მთხოვნელებს ქოჯორში, ოთხშაბათობით დილის ცხრა საათიგდან მოყოლებული.

თფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღომლისამიერ.

ნებითა მისის იმპერატორებითის შმაღლესობის ქავკასიის ნამესტნიკისათა 15-სა მომავალსა იელისსა იქნება დუშეთის ქალაქსა შინა განხსნა უეზდის კეთილშობილთ შეკრებილებისა აღმოსრჩევასა ზედა უეზდის წინამძღომელისა და დეპუტატისა კეთილ-შობილთ სადეპუტატო სობრანიისათვის, მათის კანდიდატებითა.

Ვაუწყებ ამაზედ უფალთ თავადთა და აზნაურთა დუშეთის უეზდისათა და ვრაცხ ვალდებულად აქვნდეთ მხედველობაში კანონის სტატ. 34, 35, 36, 37, 52, 54, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 88, 94, 95, 96, 101, 102, 103, 135, 138, მესამე ტომისა და მეთხუთმეტისა ჰსჯულთა უგოლოვნისა და ისპრავიტელნის სტატ: 1959, 1961, 1965, 1966 და 1967, აღმოსრჩევის სამსახურსა ზედა.

პოლიტიკა.

სერბია.

მიხეილ ობრენოვიჩის მოკვლის ამბები. Газъетი Neue freie presse-ში ბელგრადიდამ იწერებიან მაისის 30 (თიბათვის 11): ტოფშიდერის ბაღი, რომელშიაც საძაგელი კვლა მოხდა, ნახევარ საათის სავალზე მდებარებს ბელგრადის ქალაქიდგანა. ამ ბაღში არის სანახავათ მხეცების ადგილი და ორანჟერეა. ბელგრადის არე-მარეში მშვენიერი ადგილი უჭირავს ტოფშიდერსა. ბანაენებულს მთავარს მიხეილს ჩვეულებათა ჰქონდა სადილთუკანობით იქ გასეირება და ზაფხულობით იქა სცხოვრებდა. ამ ბაღში ხალხს სეირნობის ნება ჰქონდა და ამისა გამოთ მთავარს ხშირათ ხალხში მოსეირნესა ჰხედავდნენ. ამ ჩვეულებაზედ დაუმყარებიათ მკვლელებს თავიანთი განზრახვა. მთავარი რომ სასეირნოთ წავიდა ერთათ თავის ბიძის ქალთან, ანკა კონსტანტინოვიჩთან, ამის ქალთან, კატერინესთან, თავის ადუტანტ ბარაშანინთან და ლეიბ-ლაქეის მიტას თან ხლებით, და როდესაც ხშირ ხეივანში შეევიდა, გახშირებულ ხეების მხრიდგან სამი მართებულად ჩაცმული კაცი გამოვიდა. იმათ მთავარს თავი დაუკრეს და, როდესაც მთავარიც პასუხის მიგებას აპირობდა, თოფი გაეარდა. მთავარმა დაიყვირა, ხმალს ხელი იწვდინა, მაგრამ დაიწყო ბარბაცი. კიდევ თოფი ორჯელ გაეარდა; თოფის ტყვიები მთავარს გულში მოხვდა და უსულოთ დაეცა. ანკა კონსტანტინოვიჩმა რომ მთავარის ხმა გაიგონა, მივარდა იმას, რომ უშველოს რამე ან დაიხსნას; მაგრამ მთავრისთვის შემწეობა საჭირო აღარ იყო. ანკას ხელი დაუშავეს, მერე გული და ისიც მკვდარი დაეცა მთავრის გვამზე. სულ ეს ამბავი რამდენსამე მინუტში მოხდა. ბარაშანინი და ლეიბ-ლაქეი მიტა გამოშტერდნენ, არ იცოდნენ რა ექნათ: მთავარს უშველონ, თუ საშველად ვისმე დაუძახონ, თუ მკვლელების დაჭერა მოახერხონ. მანამ ბარაშანინი და მიტა ორჭოფობდნენ, მკვლელები ამათაც დაეცნენ. ბარაშანინი ხანჯლით დასჭრეს გვერდში და მიტა მკლავში. კატერინა კონსტანტინოვიჩს დამბაჩის სროლით ხელი ძალიან დაუშავეს. მს სამი მკვლელები იყვნენ სამი ძმანი რადანოვიჩები. მკვლელები გაიქცნენ, რადგანაც ისეთი არეულობა იყო, რომ არავის არ მოჰგონებია მკვლელებს გამოსდგომოდა ვიდრე არ მიმალულიყვნენ. ამასთანაც ღამდებოდა და ხალხიც ცოტა იყო. მთავარს სეირნობის დროს მოშორებით მოსდევდა მთავრის რძალი ანკა კონსტანტინოვიჩის დედა ტომანია ობრენოვიჩი და ბარაშანინი. მკვლელები რომ დაეცნენ ბარაშანინმა დასაცველათ ხმალი აშიშელა, მაგრამ ხელში დაიჭრა და ხელიდგან ხმალი გაუვარდა. მიტა მსუბუქათ არის დაჭრილი. ტომანია ობრენოვიჩი პირველ სროლაშივე შიშისაგან მიწაზე დაეცა და მკვლელებმა თავი დაანებეს. ადრინდელი მინისტრი (დაჭრილის მამა) ბარაშანინი იქვე ბაღში სეირნობდა და უბედურობის ამბავი და შვილის დაჭრა ტომანის მსახურმა უთხრა; ეს რომ შეიტყო შვილზედა სთქვა: „თუ მომკვდარა მამულისთვის მამკვდარაო“ საჩქაროთ ჩაჯდა კოლიასკაში და ბელგრადში წავიდა. ბარაშანინმა (მამამ) ნახა რომ ერთი ძმა რადანოვიჩი პოეოზკაში ჩაჯდა და დაიძახა ბელგრადში გასწიო! ეს არის მიზეზი რომ ბელგრადში აღრეულობა არ მოხდა. ბარაშანანი რადანოვიჩზე ადრე მივიდა სამინისტროში და რადანოვიჩი რაკი მიახლოვდა სამინისტროს სახლსა, ჯანდარმებმა მაშინვე დაიჭირეს. იმავე საღამოს შეადგინეს დროებითი მმართებლობა.—რა განზრახვით ჩაიდინეს მკვლელებმა საქმე, ამაზე სხვა და სხვა ლაპარაკია: ზოგი ამბობს, რომ მკვლელებს ჯავრის ამოყრა უნდოდათო თავის საკუთარ საქმისთვისაო. ზოგნი კიდევ პოლიტიკურ განზრახვას აბრალებენ. ამბობენ ამ საქმეში ურევიაო ძველი მთავარი ალექსანდრე უარა-გეორგიევიჩი რომელიც ეხლა ავსტრიაშია“.

იმ პირების სიაში, რომელნიც დაუტუსაღებიათ ამ თიბათვის 5 (17) მდის არიან: სამი ძმა რადანოვიჩები, ტუსაღი მარიჩი, ოლქის სასამართლოს ადრინდელი თავმჯდომარე ნესტოროვიჩი; სტოიან როგიჩი, ძველი მთავრის ალექსანდრე უარა-გეორგიევიჩის სიძე სიმა ნენადოვიჩი, ტასა ანაქტოვიჩი, ანდრია კარაშევიჩი და ვიდრე, ბელგრადის უმაღლესის სკოლის სტუდენტები და სხვანი.

უარა-გეორგიევიჩის შვილები მოვიდნენ სერბიას; მაგრამ დროებით მმართებლობამ ნება არ მისცა ბელგრადში (სერბიის სატახტო ქალაქში) შემოსულიყვნენ, რადგანაც ხალხი ძალიან განძვინებულია უარა-გეორგევიჩის გვარზედა.

დროებითი მმართებლობა (მთავრის მოადგილეობა) ბელგრადში დაწესებულებათა კანონის საფუძველით შესდგა სენატის თავმჯდომარის, მარინოვიჩისაგან, იუსტიციის მინისტრის ლეშიანინისაგან და უმაღლესის კასაციის სასამართლოს თავმჯდომარის პეტროვიჩისაგან მაისის 30 (თიბათვის 11). ამ დროებითმა მოადგილეობამ გამოსცა შემდეგი პროკლამაცია: „თანა-მემამულენო! საზარელის და საძაგელის ავმოქმედებისა გამო სერბიას მოაკლდა თავისი მთავარი და ხელმწიფე. ამ გამოუთქმელ დანაკარგის დაფასებას მივანდობთ რა ჩვენის თანამემამულეთა აღსარებასა, ჩვენ ვასრულებთ ჩვენს სამწუხაროს თანამდებობასა და მივიღებთ რა კანონის საფუძველისამებრ მთავრის მოადგილეობასა, გამოუცხადებთ მმართებლობის ყველა უფლებათა და ხალხსა. პირველი საჭიროება ჩვენის მხრისა ამ სამძიმო დროში ის არის, რომ დაეიცვათ საზოგადო წესიერება და საყოველთაო უშიშროება. ხალხი მოწვეულ იქმნების კანონისამებრ სკუპშტინის (ხალხის კრების) შესაკრებელათ, რომ ამოარჩიოს ტახტისათვის მთავარი (*). უმაღლესის უფლების გულისათვის, რომლითაც ჩვენ ეხლა შემოსილი ვართ, ხალხის უწმიდესის ინტერესის გულისათვის, სამართლის ძალის მიცემის გულისათვის, სტიკათ ბძანების გავეცემთ ყოველს უფლებათადმი და ეურჩეთ ხალხა წესიერება განაგრძელოს და პატივი სცეს კანონსა და ეხლა უფრო უმეტესათ, ვიდრე როდესმე, შეიკავოს თავი იმისთანა მოქმედებაში, რომელიც დაარღვევს საზოგადო წესიერებასა და მშვიდობიანობასა. ქმარა რაც დიდი უბედურება მოგვწია! დღე ხალხმა მოიპოვოს ნუგეში თავის სიბრძნეში და ვიდრემდის ხალხის სკუპშტინა არ ამოარჩევს ახალ მთავარსა, მანამდის თავისის სამაგალითო საქციელით გაიმართლოს თავისი სახელი, რომელსაც მრთელს ევროპაში პატივსა სცემენ. ხალხს უცხადებთ, რომ სკუპშტინა კანონის საფუძვლისამებრ შეიკრიბება ოცდა ათის დღის განმავლობაში და ამასთანავე საქვეყნოთ გამოვაცხადებთ, რომ მინისტრები, სენატი და ყოველნი მოხელენი და სახელმწიფო უფლებანი განაგრძელებენ თანამდებობის აღსრულებასა, რომელიც მათ მინდობილი აქვთ განსვენებულის მთავრისაგან. ჩვენი წმინდა ვალდებულებაა სკუპშტინის შეკრებამდის იმ მდგომარეობაში დავიცვათ მამულის საქმეები, რა მდგომარეობაშიაც დაუტევა დიდმა პატრიოტმა მიხეილ ობრენოვიჩმა. ყოველად უზენაესმა ღმერთმა ამ ძნელს დროში დაიფაროსმცა ჩვენი მამული მძიმე განსაცდელთაგან“.

— თიბათვის 1-სა. სერბიის დროებით მმართებლობის განკარგულებანი იბეჭდებიან ოფიციალურს სერბიულ გაზეთში „სერბსკე ნოვინე“.

1) მინისტრმა იუსტიციისამ და დროებითი მმართებლობის წევრმა კანონის საფუძვლისამებრ წინა დაუდვა და დროებითმა მმართებლობამ მიიღო და გარდასწყვიტა, რომ უცხოთ ქვეყნის საქმეთ მინისტრმა, უ. პეტრენოვიჩმა მიიღოს და აღასრულოს აგრეთვე იუსტიციის მინისტრის თანამდებობა და შემნახველობა სახელმწიფო ბეჭდისა (მდიენობა) ვიდრე განგრძელდება დროებითი მმართებლობის მოადგილეობა (გამოიცა მაისის 29).

2) დროებითმა მმართებლობამ, ჯარის ორგანიზაციის კანონის საფუძვლისამებრ, გარდასწყვიტა—ჯარი ბანაკურ მდგომარეობაში (военное положеніе) დააყენოს (მაისის 29).

3) დროებითი მმართებლობა აცხადებს, რომ სახელმწიფო სენატმა დასდვა წესი 1863 წელს, შესახებ იმ შემთხვევათა, რომელიც სამხედრო სამართალს ექვემდებარება, და ამ სამართალსავე უნდა ექვემდებარებოდეს ის შემთხვევებიც, როდესაც საზოგადო მშვიდობიანობა და წესიერება ამას მოითხოვს (მაისის 30).

4) მოადგილეობა გამოაცხადებს, რომ განსაკუთრებული მდგომარეობა 1863 წლის

(*) სერბიაში განსაკუთრებული კანონია, იქ ხელმწიფის სიკვდილს შემდეგ მემკვიდრე კი არა ჯდება მეფეთა, როგორც უველგანა, არამედ ხელმწიფეთ ისა ჯდება, ვისაც სერბიის ხალხის კრება, სკუპშტინა, ამოარჩევს. და ეს მთავრის ამორჩევა სკუპშტინისაგან მოხდება ხოლმე არა თუ მარტო მთავრის სიკვდილის შემდეგ, არამედ მთავრის სიცოცხლის დროსაც: როცა უნდა მთავარს გადააყენებს და სხვა ახალს მთავარს დასვამს.

კანონით ნაბრძანები მრთელს მხარეს გაერცელდება და ყოველი აჯაკობა და დანაშაულობა, მოხსენებული სისხლის სამართლის მეცხრე და მეათე თავში, დასჯილ იქმნებიან იმ წესით, რომელიც ეკუთვნისთ შინა საქმეთ მინისტრსა და იუსტიციის მინისტრსა (მაისის 30).

5) მოადგილეობა გამოაცხადებს, რომ განსვენებულის მთავრის მიხეილ Ოლბრენოვიჩ მესამეზე მწუხარების ნიშნათ, მთავრის დასაფლავების მეორე დღემდის არსად არ მოხდეს მხიარულება და სახელმწიფო სამსახურის კაცთა ექვს თვეს ტრაური (შავები) ჩაიცვან (მაისის 30).

— თიბათვის 3 (15) დაასაფლავეს მთავარი. რომელ ქუჩაზედაც უნდა გაეტარებინათ ცხედარი, ის ქუჩები ადრე დილითვე ხალხით სავსე იყო. უცხო ქვეყნელებიც მრავალნი იყვნენ. ცხედარს უკან მისდევდა იულია ჰუნნია მთავრის გამეებული ცოლი, (რომელიც დასაფლავების დროს ვენგრიიდგან მოვიდა და მალე ისევ დაბრუნდა) ამისი დედა და სხვა ნათესავები, მაღლათ მომტირალნი. შემდეგ მისდევდნენ ქვეით მინისტრები, კონსულები და უცხო ქვეყნების ელჩები და ბოლოს ხალხი. როდესაც სობოროში მიიტანეს ცხედარი მთავრინას იულიას რამდენჯერმე გული შემოეყარა.

— მთავრის მემკვიდრეთ მოიწოდეს მილან Ობრენოვიჩი, განსვენებულის მთავრის ძმის წული. მილანი ეხლა ცამეტის წლისაა (დაიბადა 1855 წელსა) და იზდებოდა პარიჟში პროფესორ ბუიესთან მთავრის ხარჯით. სერბიის ჯარმა გამოაცხადა თავისი სურვილი, რომ მთავრათ მილანი ამოარჩიონ. მილანი დაიბარეს პარიჟიდგან ბელგრადში.

ძველებური მზითვის წიგნი.

ეს მზითვის წიგნი იმერეთიდამ არის წარმოგზავნილი და იმ წერითა ვბეჭდავთ, როგორც რედაქციამ მიიღო. ამ წერილსა ვბეჭდავთ, როგორც ისტორიის მასალასა, ეკუთვნის გავლილს საუკუნის წელიწადებს 1772 და 1775 წელთა შორის.

რედაქციის შენიშვნა.

ჩ. ესე რომლისა მიერ იპყრობების და განეგებების შვიდ კეცობა იგი ცათა სიმაღლისა ზესკვნელობანი და ქვესკნელობანი იმერნი და ამერნი კიდით ვიდრე კიდედმდე ცისა და ქვეყნისანი რომლისა ბრძანებითა დაებადნეს ყოველნი ხილულნი და არა ხილულნი უძრავ მოძრაენი უსიტყვ მოსიტყვენი უხორკლონი ძალნი ანგელოზნი და მთავარ ანგელოზნი ქერაბინნი და ეტლის თვალნი სერაბინნი საყდარნი უფლებანი ხელმწიფებანი და ძალნი გუნდ გუნდეულად დას-დასეულად მწყობრ მწყობრეულად მორჩილნი წამის ყოფისა მიისისანი არა ხელითა თვისითა არამედ მოიგონა და მოგონება იგი საქმე იქმნა რომელი იგი საყდართა ცეცხლის ფერთა ზედა მჯდომარე არს განისვენებს და სუფევს. მან-მბადმან ყოველთა არსთამან ინება და თქვა ექმნეთ კაცი ხატად და მგზავსად ჩვენდა და მოიღო თიხათა ნიეთ თაგან და შეაერთა და შექმნა ხელითა თვისითა ადამი და შთაბერა სული იგი ცხოველი და აღადგინა და თქვა კვალად უქმნეთ შაგას მგზავსი მისი-და დააძინა ადამი და ამოუღო ფერცხალი ერთი გვერდისა მისისაგან და შექმნა იგიც ხატად და მზგავსად ადამისსა და შთაბერა მასცა სული ცხოველი და აღადგინა გაიღვიძა ადამმან. თქვა წინასწარმეტყველებულითა სიტყვითა აჰა ხორცი ხორცთა ჩემთაგანი და ძვალი ძვალთა ჩემთაგანი-ხოლო უფალმან უბრძანა ადამს ეწოდოს ცოლ და აღაშენა სამოთხე ედემს აღმოსავალით და დაამკვიდრა შორის მათსა და უბრძანა ყოველისა ხილისაგან ჭამა და არა შეხება ხისა მის რომელი არს შორის სამოთხესა მას საშვებელისასა ხოლო შურითა ეშმაკისათა პირველად სცდა დედა კაცი იგი და ქმარსაცა თვისს სცა ჭამადი იგი მაკვდინებელი. და განეძარცვათ უკეტაევებისა იგი ნათელი, და უკეტაევებისა წილ დაიმკვიდრეს მოკვდაება და უხრწნელებისა წილ ხრწნილება და საუკუნო იგი ჯოჯოხეთი: და მიერიდგან უფლებულ იყო კაცთა ზედა ეშმაკი და ხელთა შინა მისთა მიტაცებულ იქმნა ყოველთა კაცთა სულები. ხოლო განმზრახმან კეთილისამან და გვიანმან რიცხვისამან არა ინება დაბადებულისა თვისისა ჯოჯოხეთსა შინა დატევება: ინება თავისა თვისისა ნებით დაგლახაკება; იშვა ხარებითა გაბრიელ-მთავარ-ანგელოზისათა უბიწოსა მის დედისაგან და უბიწოდვე დაცული შემდგომად შობისავე დაადგრა და ქცეულმან-ქვეყანასა ზედა აღრზდა ჯერ იჩინა და პონტელისა პილატეს მიერ ჯვარსა ზედა დამოეკიდა და სიკეტილი თავს იდვა აღდგა მესამესა დღესა და აღადგინნა წარტაცებულნი ეშმაკისანი სულნი იგი მართალთანი და ადამის წყევა დახსნა და აღაყვანა კურთხევა საღრმთო ადამ ნაშობითურთ თვისით სასუფეველსა კვალად აგნა და ამაღლდა უკედავითა ხორცითა ზეცად და აწ მომავალ არს განკითხვად ცხოველთა და მკვტართა მისა დიდება და თაყვანის ცემა უკუნითი უკუნისამდე ამინ: აწ მისითა ნებებითა გამორჩევითა განზრახვითა და ჯერჩინებითა უმაღლესისა და მთავართა უმთავრესისა ლევან დადიანის ტახტის მპყრობელის სახელოვნობით განდიდებულ განსრულებულის დადიანის ლიპარტიანის გიორგის შთამომაელობით თვისმან გვარტომობით აღმაღლებულმან უზენაესის სათავადოსა და სიმაგრისა მპყრობელმან ყოველის დიდებით და სიმდიდრით განსრულებულმან დიდისა თვით მპყრობელისა ტახტმაღლისა ხელმწიფისა და მეფისა სოლომონისა მისანდომან ყმამან ზნე-სრულმან ცხენოსან მოასპარეზემან ყოველი გასაჭირის დღის გამა-ადვილებელმან საღრმთო საერო, ზნე-განსრულებულმან და კვალად მხნე ახოვნად ჩინებულისა სამთა სახელმწიფოთა შორის დიდად ცნობილისა და კაც კეთილობა განდიდებულისა ზნე უკლებელისა ჭირთა შინა მტერთა ზარის მცემისა. და მოყვარეთათვის სახილველად სატრფოისა სახელოვანისა და დიდისა პატრონებისაგან თვისად ძმად და საყვარლად მიჩნეულის წულიკიძის კაცას ძემან ბერმან და თანა მემცხედრემან ჩემმან დიდისა და აღმაღლებულისა ბაგრატოვანთა ტახტის ქალაქის და სრულიად ამერთა ქვეყანათა უფროსად და ქვეყნის გამგედ დადგინებულის დიდთა მეფეებთაგან მისანდო ვეზირად და საყვარლად მიჩნეულის ყოველის საღრმთო სამხნეო ზნე სრულებით აღჭურვილის მთათა და ბართა ქვეყანათა სოფლებთა და აგარაკთა მქონებელის დიდის თავადის ლორთქიფანიძის ასულმან თვით უბინდომან წრფელ უებრომან ბანოანთა უაღრესმან ღვთის მოყვარებით განათლებულმან თვით ყოველად წმინდის სათნოდ მქცევმან. ქვრივ ობოლთ ხელის ამპყრობმან ხატთა და ჯვართა და ეკლესიისა სამკაულთა მამკობმან და ფრიად პატიოსანმან პატრონმან გულქონ და ძემან ჩვენმან წმინდათა სამთა ყრმათა მიმზგავსებულმან ჰაედონ ხმატკბილობით ნარნარად მჭიკჭიკობელმან კეთილ აღსაზრდოთ აღმზადებულმან თვით ღვთის საფარველის შეეედრებულმან პირმშომან ძემან ჩემმან სეიმონ: მოგახსენებთ შენ დიდათ საქებელისა და უმწვერვალესისა მთავართა შორის უზენაესად სახელ ქებით ტახტ მაღლობით წარჩინებულისა სქესობით დიდისა და სახელ გადიდებულისა შეუვალთა რაზმთა შორის კისკასად შემართეით მტერთა დამამხობელის უსწოროს ჯომარდის და სახელოვანის ოტია მიქელაძის თვისსა და შესამგზავსად მისებრ კაც კეთილობა გადიდებულის მიქელაძის შაქარის და მეცხედრისა მისისა პატიოსნებით მკობილის ქრისტეს მოყვარის და სათნოდ ღმრთისა მქცეობით განათლებულის ყოველთა დაერდომილთა და გლახაკთა ხელის აღმპყრობელის შეენებით სრულიად ხოტბა ქმნილის დიდის სახელოვანის აბაშიძის ასულის ძეს. ყოველის სიკეთით ჩინებულს ცხენოსან რაინ-დათ მოასპარეზეს ჭირთა შინა ადვილად და გულ-მედგრად შემართს და მტერისა დამთურგნ და მამხობელს ახლა მეთობობითა უცთურად მსროლს და მტერთა დამკვეთებელს სწორთა მოასაკეთა შენთა უაღრესად გამოჩენილს სიძესა და შვილსა ჩვენს მიქელაძეს ლევანს მოგეცით ჩვენი ასული ჭეშმარიტად ასული ამ სოფელს სალხინებელი და საუკუნესა საცხოვრებელი ბრძანებს პირი ღთისა წმინდა სახარება კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი ხოლო მოშაირენი სწერენ მზგავსი მზგავსსა წარმოშობენ ციერნი თუ მიწიერნი. ხე ნაყოფისა მიერ საცნაურ იყოს: მოგახოვე ვითარცა სარრა აბრაამს და ვითარცა ისაკს რებეკა იაკობ მამათ მთავარსა რაქაელ ნესტარ დარეჯან ტარიას მზის მოწუნარი თინათინ ავთანდილს მოგეცით ყოველი ჩვენი გონების განმანათლებელი და სულთაგან უტკბესი ჭეშმარიტი ქრისტიანი წრფელი უმანკო უებრო განათლებული განახლებული განბრწყინვებული თავით ფეხამდე სახე სინჯ დაუდებელი მზე ცისკრისა ეტლსა ამხედრებული სხივებრ უკუნთა შორის მოარული მთვარე ენგადიმისა ქოჯასტანისა ანუ ვარსკვლავი ბაღრიბისა შვიდთა მნათობთა უბრწყინვალესი უღრუბლო ჰაერი დაუჩრდილარი ნათელი ქვა: ეიაკინთი თვალი იგი პატიოსანი და მარგალიტი უსასყიდლო რომლისა სწორი არ იპოვების დაუცხრომელად ჟამ-ფსალმუნებითა მლოცველი დედათა დიდება ბანოვანთა უთავადესი ყოველი სწავლა ცოდნით აღზრდილი ედემით გამომავალი ვარსკვლავი ნათლისა მზის სხივებრთა სულნელებათა მომცემი ჩვენი დამტირებელი ჩვენი დამმარხველი და მუფარეხი ჩვენი სული და ხორცი ჩვენი ასული ხვარამზე: —გამოვატანეთ თავს ხატი ყოველად წმიდისა ოქრო ვეცხლით მოჭედილი. მეორე კიდევ გულსაკიდი ხატი მესამე ოქროს პატარა ჯვარი წიგნებისაგან სახარება სამოციქულო ერთი პატარა ჟამნი—ერთი დავითნი და საეროს წიგნისაგან ვეფხვის ტყაოსანი თავის იარაღისაგან პირის მარგალიტი მისის ბირკვითა და თვლებით შემკობილი ამასთან კარგი ჭინჭალი ორი სირმის თავსაკრი ექვსი ქინძის თავი ორი ლალისა და ოთხი მარგალიტისა ცხრა ფარჩებისა თავსაკრავები მისი ლეჩაქები არშიით გაწყობილები ამასთან საპირისფარეშო უკლებელი და გაწყობილი: ტანის სამოსთაგანი გულის პირის მარგალიტი თვლებით კარგათ შემკობილი ამასთან მურასად შემკობილი ოქროსა და მარგალიტის ორი ღილები: ერთი კაბა საგულე სტოფისა მეორე კაბა საგულე დარისბეის მესამე კაბა საგულე ბელდრებესა და ამასთან სამი ზუბუნები დარის ბაბებისა ორი პერანგები ყანაოზ ჯამფასისა ორი ზარბაბის სარტყელი ერთი დიბის ქათიბი არშიითა და ღილებით კარგათ გაწყობილი ერთი დიბის ტოლამო ერთი კიდევ ტოლამო კერენის სკალატით გადაკრული ოთხი ბეჭედები ლალისა და ფირუზისა ერთი ქარვის კირიელეისონი: ქვეშაგებზედ სახურავითაგანი ორი კარგი ნოხი ერთი ქეჩა ერთი კარგი ბუმბული მისი ზეწრით გაწყობილი ორი საბანი სამალაჯისა ერთი დორი ფარჩისა სამი დიდი ბალიში და ორი უნცროსები ერთი კარგი ფარდა ხუთი ცხვირსახოცები და ორი მუხლსაფენი სუფრის იარაღისაგან ხუთი თასი ერთი აზარფეშა ერთი სუფრა ყაშუმი ერთი ნალბაქი სუფრა სათასე მისის დანითა გაწყობილი ორი სასამთლე ერთი რახტის იარაღი მისის უნაგირ ასლითა და იარაღითა სრულიად გაწყობილი: აწ მოახლისაგან თავის გამდელი მისის ორის ხელის ტანის სამოსით ქვეშაგებზედ სახურავით გაწყობილი მეორე მოახლე ლერწამისა პირის ფარეში საგარეულო და საშინაო ტანისამოსით და ქვეშაგებზედ სახურავით გაწყობილი მესამე მოახლე ხელმწიფის სოული მედოშაკე ტანით ფეხით ტოლმით გაწყობილი მეოთხე მოახლე ტანით ფეხით ქათიბით კარგათ გაწყობილი მეხუთე ქვეითი მოსამსახურე იაგუნდისა გოგო მებაშმაკე ტანის სამოსით გაწყობილი: აწ შინა ყმისაგან მერიქიფე ბერიკელა ჩიჩუა და გიორგიტა იასამანის შვილი ორი ფარეში ჯოხონელიძე და ხაბეიშვილი ერთი მზარეული ისეც ჯოხონელიძე ვაჭარი ორი ურია-მოჯალაბეს ვაძლევდით მარა ის ირჩიეს და ერთი კარგი მოსახლე გლეხი: სპილენძის იარაღისაგან ერთი თითბრის და მეორე მოკალული სპილენძისა წურწუმა ორი კარგები ტაშტები ორი დიდროვანი მოკალული თუნგები ერთი თავის საბანი ქვაბი ერთი ჩარხანა საღომი ცხრილე და მეორე დიდი საღომე ქვაბი მესამე დიდი სახორაცე ჯონური ქვაბი ერი ტაფა და საქვაბე კიდევ დღეს ეს იყოს და სანამდის ვიცოცხლებთ ჩვენს შვილს მარადის უნდა მივსცეთ რაც შეიძლება ჩვენგან.

ბენუას საქმის წარმოება.

(დასასრული).

წარსულ (25) ნომერში ბენუას საქმის წარმოება ჩვენ დავაბოლოეთ ლაბეევის წერილით, რომელიც იმან დაართო თავის საჩივარს და შეიტანა სამსჯავროში. ამ წერილში ლაბეევი ემდუროდა სამსჯავროს კრებას, რომ იმას ტყუილად დააბრალეს ბენუას ცოლის კვლა და ამ ცილის-წამებით სრულებით დაუკარგეს საზოგადოების ნდობა და პატივისცემა. ამ გვარად უდანაშაულოდ, მხოლოდ გაუფრთხილებლობისა გამო, საპყრობილეში ჩაგდებული ლაბეევი უმტკიცებდა სამსჯავრო კრებას თავის წერილის ბოლოში, (როგორც მკითხველი უკვე ჰნახავდა), რომ დამნაშავე მხოლოდ ფრიდერიკ ბენუა არისო, რადგან ფრომაჟის კვლაზე მოკრებილი ჩვენებების ძალით ეს აშკარად სჩანსო. მაგრამ ამ თავის დაბრალების დასამტკიცებლად ლაბეევს უფრო გაბედვით ვალლესგან ნაპოვნი ფრომაჟის წვრილი მოჰყვანდა და აგრეთვე ლუიზა ფომერის სიკვდილის-წინ აღსარებაც, რომელშიაც ლუიზას აღვეარნა მომველელ დედაკაცებთან, რომ „მე და ჩემმა ვამიდა-შვილმა 6,000 ფრანკის გულისთვის მამიდა ჩემი მოვკალითო.“

ბრალის-მდებელი პალატის განკარგულების გამო 1832 წლის 23 მარტს ბენუა წარუდგა ასსიზინის სამსჯავროს სამართალს. აქ შეადგინეს ბრალის-მდებელი განაჩენი, რომელშიაც გადაჭრით და უიჭვნეულებოდ გამოჰყვანდა ბენუას დამნაშაობა, როგორც ფრომაჟის კვლაში, აგრეთვე თავის დედის კვლაშიაც. აქ ნაკითხი მოწმების ჩვენების ძალით დაამტკიცეს, რომ ბენუას მეუღლის მოკვლა გარეშე პირისაგან სრულებით შეუძლებელი იყო. მაშასადამე იქვი აღარ იყო ფრიდერიკ ბენუას დანაშაულობაში.

დანიშნულ დღეს გახსნეს სამსჯავრო ყრილობა ბენუასთვის სასჯელის გადასაჭრელად; დამნაშავე ბენუაც შემოიყვანეს.

მოსარჩლის ახლოს სხედან მამა და ძმა ბენუასი (ორივე მომრიგებელი მოსამართლეები) და ორიც ამათი სიძე. უველანი გულ ჩათხრობილნი არიან; მამა კი ტირის.

მოსარჩლედ დანიშნულია კასსაციის (*) სამსჯავროს ადვოკატი, კრემიე. მამამტყუნებლად, ლაბეევისა და ფრომაჟის მამის მხრივ, არის შე დ' მსტ-ანჟი.

ნივთიერებითთ დამტკიცებათ სტოლზე ძევს უბედური ფრომაჟის სისხლიანი ტანისამოსი; იქვე დგას დივანი, სისხლითვე გასვრილი. ამ ნივთებს მაყურებელნი შეძრწუნებული გულით შესცქერიან.

(*) კასსაციის სამსჯავრო არის უმაღლესი სამსჯავრო დაწესებულება, რომელსაც უფლება აქვს დაარღვიოს სხვა სასამართლოებში გადაწყვეტილი საქმეები, თუ ეს გადაწყვეტილება კანონზე არ არის დამყარებული და ჯეროვანი საქმის წარმოებით არ მოხდარა.

დამნაშავისა და მოწმების კვალადი გამოკითხვის შემდეგ გენერალ-პროკურორის ამხანაგმა წაუკითხა დამნაშავეს ბრალის-მდებელი განაჩენი და ადვოკატებს ლაპარაკის ნება დართო.

დამნაშავის ნამდვილ გამამტყუნებლად გამოვიდა შე დ' ᲔᲚᲢ-ᲐᲜᲯი. ამ გამოჩენილმა ადვოკატმა დაიწყო ბენუასა და ᲤᲠᲝმაჟზე ლაპარაკი. იმან გაარჩია იმათი ხასიათი და ერთმანეთთან უშესაბამო დაახლოვება და ამ დაახლოვების მიზეზი—ᲤᲠᲝმაჟის დაუდგრომელი, აღტაცებული ხასიათი და სიწრფელე, ხოლო ბენუას ვერაგობა და მცბიერება. შემდეგ შე დ'ᲔᲚᲢ-ᲐᲜᲯი ლაპარაკობს მხოლოდ ბენუაზედ და ისე დაწვრილებით, რომ არა ვითარ გარემოებას არ აგდებს უყურადღებოდ. ის ამბობს:

„ნუ იტყვით, რომ ამან (ბენუამ) მხოლოდ ერთი ღამე გაატარა ამ გვარ შემარცხვენელ სიტკბოებაში, რომ იმისი უმანკოება ძრწუნდება ამისთანა ლაპარაკისგან! სულაც არა! დღესაც, თითქმის თქვენ წინაც კი ცრუობს, ცდილობს დაფაროს თავისი შერცხვენა და დანაშაულობა, რომ სამსჯავროს წინ პასუხის გება მოიშოროს თავიდგან. ტყუილი ცდა არის! უნაყოფო სიცრუეა! სულ ამაოა! ამ ახალგაზდობას კი ნუ უცქერით. ამას ეხლავე აქვს თვით წრეს-გასული უგვანის სიფრთხილე: გონიერება ეტყობა, მაგრამ ეს გონიერებაც ამხილებს ამას. ტყუილად ჰქონდა ღამის იმედი, ტყუილად ეგონა, რომ დე-ბენის სასტუმროში ყველას ეძინებოდა, დაუბრკოლებლად ასრულებდა თავის ავაზაკურ განზრახვას და ისე დაუბრკოლებლადვე გამოვიდოდა იქიდგან უვნებელად. 21-ს დე-ბენის სასტუმროს დაკეტილი დაუხვდათ. ახლა დასჭირდა იმათ სახლიდგან სახლში ხეტება, რომ ღამის გასატარებელი ალაგი სადმე ეშოვნათ: ბოლოს ოთახიც იშოვნეს, მაგრამ იქაც სხვა მდგმური დაუხვდათ, და 22 რიცხვს კი დილის ხუთ საათზე იმათგან არჩეულ ალაგს ყველანი ამდგარი იყვნენ. პარიჟში, ვერსალში—ყველგან ეჩვენა, ყველგან ნახეს და იცნეს. ახლა მე თქვენ კიდევ უნდა გკითხოთ, შეიძლება აქ კიდევ იჭვნეულობა? მე როგორ ამის კვალს მივდიო და თვალი აღარ მოვაშორო იმ წამიდგან, როდესაც ეს შევიდა ამ დე-ბენის სასტუმროს ოთახში,—ერთი მითხარით განა მე არა მაქვს საბუთი როგორ ვსთქვა: აი ᲤᲠᲝმაჟის ამხანაგი; აი ᲤᲠᲝმაჟის მკვლელი!..

თქვენ მეტყვით, რომ მე ჯერ სულ არა ვსთქვი, რომ არ შეეყვე დე-ბენის სასტუმროში და იმდენი ვაჟკაცობა არა მაქვს, რომ აგიწეროთ იქ მომხდარი. მაშ გამიგონეთ: იქ ის სანახაობა მოხდა, რომელიც არავინა ნახა, რომელსაც ვერ გვიამბობს ვერც ერთი მოწმე და მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც თქვენი შორს დაუნახავი სიწრფელით იძახით: მე არავის უნახვიარო; მართლ მსაჯულებას ჩემთვის არ მოუსწრიაო. მაშ იცოდეთ! ეს სანახაობა მე კარგად ვიცი და კიდეც გიამბობთ ამაზედ. დამიგდეთ ყური, მე თქვენ გეუბნებით,და თუ კიდევ უარისყოფას დაიწყებთ,მაშინ აღამაღლეთ თქვენი ხმა ამ თქვენი გამხილებელი სისხლის გასამტყუნებლად. ამ პჰიდროოთახში, რომელშიაც მკვლელობა თვალ წინ გვიდგა, აშკარადა სჩანს მსხვერპლის ახირებული ბრძოლაც და მკვლელის მძვინვარებაცა.. აი კარები რომელშიაც ისინი შემოვიდნენ; ამ სახსოვარ ქვეშაგებზედაც მკვლელი დაწვა. თქვენს პირდაპირ ამ დივანზედ განისვენებდა მსხვერპლი; და როდესაც იმან დაიძინა, როდესაც იმან დახუჭა დაღლილი თვალები, მაშინ მკვლელიც იხუჭავს თვალებს... მკვლელი ყურს ადგენებს... დგება. Ყველა გარემოება იმის მშვენელია, იმის შემწეა. ის იღებს მოსაკლავ იარაღს. იმ ქვეშაგებზედ, რომელზედაც ის ახტება განზრახვის აღსასრულებლად, თქვენ ეხლაცა ჰხედავთ ქაღალდს, რომელშიაც ის იარაღი იყო გახვეული. ის მიდის მსხვერპლთან, აბჯენს გულზედ მუხლს, მარცხენა ხელით თავს უჭერს, ყელს უწვევს, და მარჯვენათი კი ერთი მსწრაფლი დასმით საშინელ დაჭრილობას აყენებს უბედურს.

მომაკვდინებელი დაჭრილობაა, რაღა ჩიჩინი უნდა, მაგრამ სიცოცხლე, ძალით და ღონით აღსავსე სიცოცხლე არ ემორჩილება და იბრძვის. საწყალი ყმაწვილი!.. ვინიცის ამ დროს ამ ფანჯარაში ისმის სიცილი ან სიმღერა; ვინიცის შენ ყურებს კარიდორიდგან ფეხის ხმა ესმის, ან ვინმე მიაქროლებს გზაზე! შენ გინდა დაიყვირო, შველა ითხოვო. უბედურო! ტყუილად ნუ ეცდები; შენი ხმა შემუსვრილია, შენი ყვირილი, შენი სასოწარკვეთილებითი ყვირილი შენსავე სისხლში ინთქება... მაინც კიდევ იბრძვის, მიჰვარდება კარებს, საიდგანაც შევიდნენ; მაგრამ იმის დიერეზდ ისევ მკვლელი შეჰხვდება იმას, და ამ სისხლს რომ ჰხედავთ იმას ამტკიცებს, რომ აქაც ბრძოლა ყოფილა... იმის თვალები ისვა კარებს ჰხედავენ; იქნება ის მაინც გაიღოს!.. მიჰვარდება, ან უფრო სწორედ ესთქვათ, მიცოცდება ახლა იმ კარებთან, მაგრამ ძლიერი ხელი აქაც დააყენებს იმას....“

შემდეგ ადვოკატი შე დ'ᲔᲚᲢ-ᲐᲜაჟი ძალიან ცხადად ასწერს, თუ როგორ უნდა მომხდარიყო კელა და რას იქდა ამ დროს მსხვერპლიცა და მკვლელიც; აგრეთვე ეს უკანასკნელი რას იგრძნობდა ბოროტების აღსრულების შემდეგ; რა აზრები და გაფრთხილება მოუვიდოდა იმას თავში ბოროტების დაფარვისათვის.. და ყველა ეს ისე ცხადათა და მჭევრმეტყველებით აქვს აღწერილი, რომ მსმენელი ჩინებულად წარმოიდგენს თვალწინ იმ ამბავს და დამნაშავესაც ისე ცხადად წარმოუდგება თავის მოხდენილი ბოროტება და ისე რიგად გაიტაცებს იმის ფიქრებს და თავს დააივწყებს, რომ, თუ ძალიან გაფრთხილებული არ არის, უნებლიედ წამოაძახებინებს რასმე თავის გასამტყუნებლად... მერე ამბობს, რომ ბენუასაგან ᲤᲠᲝმაჟის მოკლის მიზეზი სწორედ ᲤᲠᲝმაჟისაგან მიწერილი წიგნი უნდა იყოსო და ამასაც ამტკიცებს; ის ამბობს: ბენუა ამ წიგნისაგან ისეთ მახეში იყო გაბმული, რომ სწორედ მოჰკლავდა ᲤᲠᲝმაჟსაო. შემდეგ ლაბეის თავს-გარდასავალზე ლაპარაკობს და გადადის დედის კელაზე და იმასაც ამტკიცებს, რომ სწორედ იმის მოკლულია. ადვოკატი ამბობს:

„ვართლ-მსაჯულებას მრავალი საშუალება ჰქონდა, რომ დამნაშავე ეპოვნა!.. ᲤᲠიდერიკის ლაპარაკში სულ არა არის რა დასაჯერი, მართლის მსგავსი. თითონ კოროლის პროკურორსაც არა სწამდა ის ლაპარაკი, და მწუხარეებისაგან ჰკვაზე შეშლილობას აბრალებდა. ახლა კი გიცანით რა ჰკვაზე შეშლილიცა ხართ! საკვირველია, მაშინ რატომ არ იყავით ჰკვაზე შეშლილი, როდესაც ფულის პარკებისათვის საჭირო იყო თქვენი მზრუნველობა; საკვირველია, თქვენმა შეცვლილმა ჰკვამ ფულების მოყვლა ირჩია დედის მოყვლას, და ისე ჩინებულად გაფიქრებინათ 1500 ფრანკის მოპარვა, რომელიც შკაფში იყო დამალული. ნუღარ იტყვით ამის ჰკვის შეშლაზე; ამის ლაპარაკში სულ სიცრუეა, ჩვენ ამას ეხლავე დავამტკიცებთ, და მაშინ ნება გვექნება ვკითხოთ ამას, თუ რამ აიძულა ტყულის ლაპარაკზე?„

ამას შემდეგ შე დ'ᲔᲚᲢ-ᲐᲜაჟი ამბობს, რომ გარედგან ვერ შევიდოდაო ქურდი; ამის დასამტკიცებლად სამი გარემოება მოაქვს: ერთი, რომ ბენუას ფულების ალაგი შინაურმა მოსამსახურეებმა და ახლო მეგობრებმაც არ იცოდნენ, და უცხოს ხომ სულ ვერ ეცოდინებოდა; მაგრამ ქურდს კი უძებნელად, პირდაპირ მიეგნო ის ალაგი და წაეღო ფულები. მეორე, რომ გარედამ შესული ქურდი ყოველთვის ბნელ ღამეს ამოარჩევს და ამასთან მიწყნარებულ დროსა და ადგილს; იმ ღამეს კი მშვენიერი მთვარიანი ღამე ყოფილა, იმ ფანჯრის პირდაპირ, საიდამაც ვითომც ქურდი შესულა, საავადმყოფოში სანთლები ჯერ ისევ ნთებულა და ავადმყოფების მომვლელებსაც არა სძინებიათ, ამასთანავე იმ დღეს ქალაქის ახლო სოფელში დღესასწაული ყოფილა და იქიდგან დაბრუნებულ ხალხს ვუზიერის მეიდანზე უნდა გამოეელო თურმე, რადგან სხვა გზა არ იყო. ადვოკატი ამტკიცებს, რომ ამ გარემოებაში ქურდი ვერაოდეს ვერ გაჰბედავდა სახლში შესელასაო, რადგან მანამ შევიდოდა, ბევრი ცოდვილობა მოუნდებოდა სტავნისა და ფანჯრის გაღებასაო. მესამე წინააღმდეგი გარემოებაც ის მოჰყავს, რომ ქურდისაგან გაღებული სტავნის ჩანგალი, ბენუას ჩვენებით, ლაღი ყოფილიყო და იმას და იმის დედას იმ ღამეს თოკით დაემაგრებინათ, მაშ როგორღა გააღებდაო ქურდი გარედგან. ამ გარემოებებს კიდევ სხვა წვრილმან გარემოებებსაც უმატებს, სახელდობრ: რომ გატეხილ შუშაში ხელი ვერ შეეტეოდა ფანჯრის გასაღებად, და თუ ქურდს გაეტეხნა, ისე პატარას არ შესტეხდაო, არამედ დაურიდებლად შეამსხვრევედაო; აგრეთვე თუ გარედგან გატეხეს შუშის, ნამტვრევები შიგნით უნდა ყრილიყოო; თუ ფანჯრიდგან შემოვიდა ქურდი, ფანჯრის ფიცარი ტალახით უნდა ყოფილიყო გასვრილიო, რადგან იმ ღამეს ტალახიანი ამინდი ყოფილა. მერე ადვოკატი ამბობს:

„მაგრამ ესთქვათ როგორც იყო შევიდა ქურდი ოთახებში. განა ეს არის აღასრულა თავის წადილი? არა. ჯერ კიდევ რამდენი აკლია ფულების პოვნამდის! რამდენი დამაბრკოლებელი გარემოება ახვევია იმას. იმან შკაფი უნდა გატეხოს; რაც უნდა იყოს ის ასე ფიქრობს; რასაკვირველია ის იმ იმედით არ მისულა, რომ საკვირველი შემთხვევა დაეხმარებოდა იმას და ᲤᲠიდრიკს $10^1/_2$ საათზე შაქრის წყალს მოანდომებდა და, თითქოს იმის შესაწევნელად, გასაღებს შკაფში დააივწყებდა, რომელიც უმისოდ ყოველთვის შენახული ყოფილა. მაგრამ ვსთქვათ ესეც ასრე იყო: შემთხვევა დაეხმარა ქურდს. ეს რაღაა, რომ ყუთი ისეთი იარაღით არის გატეხილი, რომელიც თითქოს განგებ დაუმზადებიაო ქურდს. ბოლოს, ქურდი ბენუას ცოლსაცა ჰკლავს... არ დაიივიწყოთ, ძალიან შესანიშნავი შემთხვევაა, რომ კელა ქურდობას შემდეგ არის მომხდარი. ᲤᲠიდერიკს მოესმა დედის ხმა, როდესაც ნახა, რომ ქურდობა მოეხდინათ და ჩამოდიოდა ეისმეს დასაძახებლად; სჩანს მაშინ ჰკლავდნენ ბენუას მეუღლეს. ამასთანავე არც შკაფში და არც ყუთში, რასაც კი მოჰხვედროდა მკვლელის ხელი, არსად სჩანდა სისხლი, მაშასადამე აშკარაა, რომ ავაზაკს ჯერ გაუქურდნია ბენუას მეუღლე და შემდეგ ისე მოუკლავს, და ᲤᲠიდრიკ ბენუას ხმა რომ გაუგია—მაშინ კი გაქცეულა. განა ეს საფიქრებელია?—მე დარწმუნებული ვარ ყველა აქ მყოფი ჰკითხავს თავის თავს: იმის მოკვლა რაღა საჭირო იყოო? ბახსოვდეთ: ამისთანა ავაზაკობას გაუჭირებლად არავინ მოახდენს. ამის მომხდენს ხსნა არსაიდამ უნდა ჰქონდეს. მაგრამ თუ კი ბენუას მეუღლეს თავის ოთახში ტკბილად ეძინა და ქურდმაც თავის წადილი, ქურდობა, აღასრულა, რაღა საჭირო იყო იმისთვის მძინარე დედაკაცის მოკვლა? იქნება სთქვათ, რომ გაიღვიძა და, რომ არ დაეყვირნა, ქურდმა მოკლაო და ამით უშველაო თავს. ტყულია! თუ კი გაიღვიძა, ქურდი გაიქცეოდა, რაღა აყენებდა იმას იქ? რაკი ქურდს მოესმა ოთახიდგან ხმა, რაღას უცდიდა, ხომ შეასრულა თავის წადილი, ხომ იშოვნა ოქროები—გაიქცეს რაღა! გაქცევა არ ურჩევნია დაურიდებლად იმის ოთახში შესელას. რატომ არ ფიქრობდა, რომ იმ შუაღამისას გაღებული სტავნა, ფარდების ფრიალი ყველა გამვლელ გამომველს შეაყენებდა და მიზეზის შეტყობას ასურვებინებდა,—რაღას უცდის ქურდი, რაღა გზას იხლართავს და ახალ-ახალ საცდელს ეძლევა: ლუიზას ახლოს მიდის, შემდეგ ოთახებში შედის და კიდევ რა იცის რა შეჰხვდება იმ ოთახებში?

აბა ენახოთ ახლა რა მოხდება იმ ოთახში? რასაკვირველია, მბასრი დანა ბენუას მეუღლეს საშინელ ყვირილს აატეხინებს, სასოწარკვეთილება ერთი ორად ღონეს მოჰმატებს იმას და ავაზაკთან თავგანწირულ ბრძოლას დააწყებინებს! მაგრამ არა: ბრძოლის ჩრდილიც არსად არის, არც წინააღმდეგობა სჩანს სადმე; საძილო ოთახში ყველა თავის რიგზეა; თითქმის ქვეშაგებიც ისე შეუხებელია, თითქოს ეხლა გაუშლიათო. მკვლელს ადგილიც კი აურჩევია დანის დასასმელად, რომ ერთი დასმის მეტი არ მონდომოდა. ერთის სიტყვით თქვენ აშკარად ჰხედავთ, რომ ბენუას მეუღლეს არ გაუღვიძნია, არამედ ძილიდგანვე გადასულა სიკვდილთან. ერთსაც კიდევა გკითხავთ: რა უნდა იყოს მიზეზი, რომ ქურდმა აღასრულა თავის წადილი, რაც უნდოდა აიღო, მოარჩა, მაგრამ მაინც მძინარე დედაკაცი მოკლა. ამასთან, რაღა ყველას ისეთი ტკბილი ძილითა სძინებიათ, რომ ვერც ᲤᲠიდრიკს, ვერც ლუიზას,ვერც თითონ ბენუას მეუღლეს,—ვერც ერთს ვერ გაუგია იმდენი რახარუხი: სტავნის ბრახუნი, მიწის ჭრიალი, შკაფის ჭრაჭუნი, ყუთის რახუნი, ოქრო და ვერცხლის ბზრიალი, ფეხის ხმა, სკამებისა და სტოლების გრიალი, რომელსაც უეჭველია ბნელაში მიეხლებოდა ქურდი,—რა ძილით სძინებიათ, რომ ვერც ერთს ვერ გაუგია ეს ყოველივე უწესოება? ბენუას მეუღლეს მართლა მაშინ გაჰღვიძებია, როცა იმისთვის ყელზე დანა დაუბჯენიათ; რა არის მიზეზი, რომ ეს ყვირილი ლუიზას არ გაუგონია? ერთიც ეს—როგორ მოახერხა ქურდმა იმის მოკვლა? სანთელს ხომ ვერ აანთებდა, თორემ გაღებული ფანჯრიდგან ქუჩაში დაინახავდნენ იმას და შეუტყობდნენ; მაშ უსანთლოდ როგორ შევიდა უფანჯრო საწოლ ოთახში და საიდგან იცოდა მსხვერპლის საწოლი ალაგი, რომ ისე პირდაპირ მივიდა იმასთან და ერთი დანის დასმით აღასრულა თავის წადილი. ერთი მითხარით, თუ ღმერთი გწამსთ, რომელი სინათლე უნათებდა ავაზაკს, რომ ასე პირდაპირ მივიდა მსხვერპლთან და ასე მიზანში დაუსო დანა.“

მერე ადვოკატი ამბობს, რომ არც ერთ მოწმეს, რომელთაც იმ ღამეს ბენუას ფანჯრების წინ გაუვლიათ, არ შეუნიშნავს გარედგან არავითარი უწესოება იმის სახლში და არც თუ რამე ხმა გაუგონიათ. ამასთან ᲤᲠიდერიკი და ლუიზაც მხოლოდ მაშინ იღვიძებენ, როდესაც სულ გათავებულიაო; მხოლოდ მაშინ ჰხედავს ᲤᲠიდრიკი იქაურობას აქოთებულს და არეულს და დედის კვნესაც მაშინ ესმისო, მაგრამ მაინც არ მიეშურება დედის ოთახში მიზეზის შესატყობად, არამედ გარბის გარეთ შველის დასაძახებლათაო.

„ნუ თუ გარბის!.. შე უბედურო, რატომ არ შეხვალ! შენი დედა არ არის! მაგრამ არა, არ შედის დედის ოთახში, რომლის კარებიც იმის თვალ წინ გაიღო, სადაც იმისი დედა წევს სისხლში მოსვრილი... ჭუჩაში გარბის, მეზობლებს ეძახის, ყვირის გაგვექურდესო და უფრო დიდ ავაზაკობას კი ივიწყებს, იმას არას დასდევს, რომ ძახილზედ დედამ ხმა აღარ გასცა. იქნება სთქვათ ეშინიანო. შეჩვენებულო შვილო! დედაშენი კვნესის და შენ კი შიშისაგანა თრთი. საძულველო შვილო! დედას გიკვლენ და შენ კი სხვაგან გარბიხარ! მაგრამ რისა უნდა შეშინებოდა? ხომ ნახა, რომ მკვლელი გაიქცა? ოთახში ხომ აღარავინ არის? მაგრამ.... სახლი სწრაფად ხალხით ივსება; მეზობლები გროვდებიან. ახლა რაღა საშიშია ოთახში შესელა. აბა ახლა რაღას სჩადის? ახლა ფულის პარკებს უელის, ყველას ეხვეწება ფულები შეუნახონ, რომ მერე მოიპაროს. დედა?.. დედა აღარცკი აგონდება

და ცოტა ხანს შემდეგ კიდეც მიდის სადღაც დედის უნახავად. მაგრამ იქნება ძალით წაიყვანეს საუბედურო ლოგინიდგან? იქნება გულჩვილმა მეზობლებმა ძალით მოაშორეს ამ საუბედურო სანახავს? სულაც ნუ იფიქრებთ; იმას არცკი უთხოვნია ვისთვისმე დედის ჩვენება, სრულებით არა ჰქონია ეს სურვილი. ისა და სალმონი რომ გადიოდნენ, სალმონი შედგა და უთხრა: „უნდა ენახოთ, იქნება ჯერ არ მომკვდარაო?“ არა, მიუგო იმან, მე დარწმუნებული ვარ, რომ მოკვდაო. დარწმუნებულია! რაც დაიძინა, მას აქეთ ხომ არ უნახავს, დარწმუნებული საიდამ არის? მაგრამ არა, დარწმუნებულია დედის სიკვდილში და ამისთვის სალმონის იჭვს არ ეთანხმება. ერთი მითხარით, თუ გამოგიცდიათ ვისმე, ამისთანა უბედურებაში ასე მალე დაერწმუნება ხოლმე ჩვენი გული და ასე ჩქარა ამბობს: „დედა მომიკვდა, დარწმუნებული ვარ, რომ მომიკვდაო“? თუ რამდენიმე ხნის შემდეგ, რამდენიმე დარწმუნების უკან დამანამ ჩვენი თვალით არა ვნახავთ, ვერ წარმოვთქვამთ იმ საუბედურო სიტყვებს: „დარწმუნებული ვარ, დედა მომიკვდაო!

ხოლო როდესაც ეუბნებიან გულის გასაგრილებლად, ჯერ არ მომკვდარაო, მორჩენის იმედი არისო, ის ეუბნება: „მაშ მოუარეთ, ფეჩი გაუხურეთო“. თითონ კი არ შედის დედასთან, რომ ნამდვილი გაიგოს,—იმისი ნახვა არა სურს. მაგრამ ნუ თუ ვერ გაიგეთ, რომ არ შეუძლიან იმ ოთახის დირეზე გადაბიჯება, ძრწუნავს შიშისაგან და იმისთვის ვერ შეუხედნია დედისთვის? ვაი თუ იმის შესვლის უმალ მოკლული გაცოცხლდეს და თითით აჩვენოს დედის მკვლელი!“

ამ მშვენიერმა მჭევრ მეტყველობამ, თვით მართლ მსაჯულების ხმის მსგავსმა, ამ დაუნდობელმა მკვლელის დათრგუნვამ, ამ ანთებულმა თვალებმა, რომელნიც თავიანთის სიცხოველით თითქოს ცდილობდნენ ავაზაკის გულის გაჭვრეტას,—ყველა ამათ შსმენელთ გულში საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. ახალგაზდა ადვოკატმა სწორედ განაჩენი წაუკითხა დამნაშავეს. უველამ ყურადღება დამნაშავეს მიაპყრო... ბენუა ძლიესლა სუნთქავს, პირისახის დამალვას ცდილობს; ჰსურს რომ არც ჰხედავდეს და არც ესმოდეს.. მაგრამ ქეშმარიტება სდევნის მას, აქეთ იქიდგან მოესმის შეჩვენება და მაშინ უბედური ყოველი ფერს იეიწყებს: მოსამართლეებსაც, ნაფიცებსაც და ნათესავებსაც; ის მაშინ ჰხედავს მხოლოდ დედის აჩრდილს და ამით ხომ სრულებით ითრგუნება უბედური. მაშინ ეცემა რაზედაც ზის, რაღაც უხილავ ხელს ერიდება და საშინელი ხმით შეჰყვირებს: „ღმერთო ჩემო! დედა ჩემო! მე, მე.. ოჰ, ღმერთო! მე ვარ!“ ბენუას მამა და ძმა სკამიდგან წამოვარდებიან, ძმა ხელს უჭერს, რომ გონზედ მოიყვანოს, უბედური დამნაშავე, გაშტერებით უყურებს ყველას, ნელნელა გონზედ მოდის და რა იგრძნობს, რომ თავის ბედის-წერის სიტყვა წამოსცდა, გამოტყდა, ცდილობს ისევ გაასწოროს შეცდომილება: „ოჰ, მე მამტყუნებენ!“ შეჰყვირებს ის. „არა, არა ეს არ არის დამნაშავე“—იძახიან მამა და ძმა და ხელებს ზეცას აპყრობენ. მაგრამ ბენუა მთლად დაცემულია, უძლურდება და ეშვება ძირს; იმას დაიჭერენ. „მამა, ძმაო! ოჰ, როგორ ვიტანჯები!“ იტყვის უბედური, მერე დაიწყებს მანჭვა-გრეხას და გაიყვანენ გარეთ. მთელ ხალხს შეებრალება.

რამდენსამე წამს შემდეგ დამნაშავე ისევ შემოჰყავსთ სამსჯავროში, სრულებით მოშლილი და მოუძლურებული, ხელებსა და მკერდს ათრთოლებს, თმა აწეწილი აქვს, თვალებს ველურად აცეცებს აქა იქ, ფერ წასულია.

შე ლ'მსტ-ანაჟი ათავებს თავის სიტყვას წყნარად და მწუხარებით.

ამან რომ გაათავა დაიწყო დამნაშავის მოსარჩლემ, ქრემიემ, და ცდილობდა გაემართლებინა ბენუა, მაგრამ ნაფიცმა მსაჯულებმა ერთ ხმივა სცნეს ბენუა დამნაშავედ. მაედმჯდომარემ წაუკითხა ბენუას სასიკვდილო განაჩენი, როგორიც შეესაბამებოდა მშობლის მკვლელს. მერე სამოქალაქო კანონის ძალით სამსჯარომ გადაახდევინა ფრომაჟის მამისა და დედის სასარგებლოდ 3,000 ფრანკი. ბენუამ განაჩენი დამშვიდებით მოისმინა და შემდეგ დაიძახა: „დედაჩემო! მეგობარო ჭოზეფ,ჩამოდით ზეციდგან და გამამართლეთ“. მაბრამ ამისთანა დროს თითქმის ყველა ავაზაკი ასე მოუწოდებს ხოლმე შემწეობას.

30 აგვისტოს $7\frac{1}{2}$ საათზე დამნაშავე მიიყვანეს ეშაფოტთან. ეშაფოტის საფეხურებზედ რომ ადიოდა ერთიც კიდევ მოუწოდა დედას შემწედ. გადააფარეს თეთრი სუდარი, თავზე შავი საფარებელი ჩამოაცვეს; პრისტავმა განაჩენის კითხვა დაიწყო; მაშინ ამ სუდარიდგან გაისმოდა ველური მწუხარება და სასოწარკვეთილებითი ხმა, ეს ხმა შესწყდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გილოტინის (*) დაკვრით ბენუას თავი მოჰვარდა მის ტანს.

სხვა და სხვა ცნობები.

მამალი ინდოურის ხმარება ქათმის წიწილების გამოსაჩეკათ.

ფრანცუზი ჟულიენი, საოჯახო საქმის მცოდნე, ამბობს, რომ ამ უკანასკნელ დროში ფრანციაში ქათმის წიწილების გამოსაჩეკათ მამალი ინდოურის ხმარება შემოულიათ. ქათმს თხუთმეტ კვერცხზე მეტის გამოჩეკა არ შეუძლიან, და მამალი ინდოური კი ოცდა ათ კვერცხზედაც მეტს გამოსჩეკს და ამასთან კრუხობის დროს ისე სუქდება, რომ ყველა კარგა მოვლილ ინდოურებზედ უკეთესია. საკვირველია ოსტატობა უნდა იმას, რომ ინდოური დააჩვიოს კაცმა და კრუხის საქმე აასრულებინოს. ჟულენის სიტყვით ეს ოსტატობა ამ გვარია: მამალ ინდოურს უნდა ჩაასხან პირში (ჩაყლაპონ) ორი რუმკა (პატარა სტაქანი) მაგარი ღვინო, და როდესაც დაითვრება, მაშინ მკერდზედა და მუცელზედ ბუმბული უნდა გააგლიჯონ, რომ უფრო კარგა გაათბოს კვერცხები, და ისე მთვრალი გამოსაჩეკ კვერცხზედ უნდა დასვან. მეორე დღეს ინდოური გამოფხიზლდება, და რასაკვირველია გაუკვირდება თავის უცნაური მდგომარეობა, მაგრამ რადგან იგრძნობს, რომ გაბდღვნილი გულის ტკივილი უყუჩდება იმას თბილ კვერცხზედ დაკარებით, ამის გამო ის უფრო მტკიცედ დაუჯდება კვერცხებს და იქამდის აღარ ადგება იქიდგან, ვიდრე წიწილებს არ გამოსჩეკავს, და როცა გამოსჩეკავს, ისე სიყვარულით უვლის წიწილებს, როგორ ნამდვილი დედა საყვარელ შვილებს.

რა არის მიზეზი, რომ ფურები უდროოთ ხბორებს შობენ ხოლმე (ბერწდებიან).

ხანდახან მოხდება ხოლმე, რომ რამდენიმე ფური ერთად თითქოს მომფენი ავადმყოფობა არისო უდროოდ შობავს ხოლმე ხბოებს (გაბერწდება). ამისთანა შემთხვევაში ყველა ჰექიმისა და პატრონის მოვალეობა ის არის, რომ გაიგონ და მოარიდოს გაბერწების მიზეზები. ეს მიზეზები ბევრ ნაირნი არიან. ხშირად ფურისაგან უდროოდ შობა იმისაგან მოხდება, რომ ცუდად ეპყრობიან იმათ, ესე იგი, სცემენ, მოურიდებლად ექცევიან და სხვ. აგრეთვე ხანდახან თითონ მაკე ფურები არიან თავის გაბერწების მიზეზები, რადგან ხტიან, ერჩიან და ზედ ახტებიან ერთმანეთს და სხვ; ამ შემთხვევაში დამნაშავე უფრო ხშირად თითონ პატრონია ხოლმე. უველა პატრონმა უნდა იცოდეს, რომ მაკე ფურები არ უნდა გაურიოს სხვა ფურებთანა და ხარებთან, არამედ ცალკე დარჩეული უნდა იყოლიოს და ისე მოუაროს, მანამ ხბოებს არა შობენ. გაბერწებულ ფურებს ხასიათადა სჭირსთ მაკე ფურებზე ახტომა, რადგან იმათ სათესლე ასოები შეძრწუნებული აქვსთ და ხურუშიანობენ. ფურებისაგან უდროოდ შობის მიზეზი კიდევ გომების იატაკის ცუდი მოყვანილობაც არის, ესე იგი იატაკის ძალიან დაქანება, რისგამო წოლის დროს ფურს უკანა ტანი უფრო დაშვებული აქვს წინა ტანზედ. მაკე ფურებს საშვილოსნოს ძარღვები, რომლითაც საშვილოსნო ტანთან აქვს მიბმული, ისეც გაჭიმული აქვსთ და დაქანებულ ალაგზე წოლით ხომ უფრო გაეჭიმებათ და შეუწუხდებათ, ამისაგან გაბერწებაც მოხდება. მაგრამ უფრო ხშირად ფურების უდროოდ შობის მიზეზი საჭმლის თვისება არის: მართლაც ნაცადია, რომ, როდესაც ხმელი ზაფხულია, მაშინ ფურები უფრო იშვიათად ბერწდებიან, და ნოტიო ზაფხულში კი უფრო ხშირად. მაკე ფურებს ძალიანა სწყენთ სოკოიანი ბალახი, რომელიც იმას უჩნდება ნოტიო ზაფხულში სიცხეების დროს. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ერთად ბევრი ფურის გაბერწება, მომფენი ავადმყოფობისავით მაშინ მოხდება ხოლმე, როდესაც ნოტიო ზაფხულში სიცხეები დადგება და ბალახებს მჭამელი სოკო გაუჩნდება. სიმინდმა უფრო ყველა მცენარეზე ძალიანი ეს სოკო და ამისგან თუ მაკე ფურებს ამისთანა სოკოიანი სიმინდი აჭამეს--უთუოდ გაბერწდებიან. ეს სოკო მხოლოდ ნოტიო წელიწადში გაჩნდება ხოლმე. ამოდის სიმინდის ფოთოლსა და ღეროს შუა (კუნჭულში) და სიდიდით სხვა და სხვა ტანისაა: ზოგი მტრედის კვერცხის ტოლია და ზოგი კი ყმაწვილის თავის ოდენა. ეს სოკო პირველ ხანებში თეთრი ფერისაა და მერე კი კანის ფერისა. შემდეგში ეს სოკო სქდება და შიგნიდგან ცავი თესლი გამოდის, სახით ძალიან წმინდა თოფის წამალს მიემსგავსება. ეს თესლი რომ შეჭამოს როგორმე მაკე ფურმა—უეჭველად გაბერწდება. რამდენჯერმე საცდელად ეს შავი თესლი ძაღლებსა და კატებს შეაჭამეს და იმათაც ისიეე დაემართათ—გაბერწდნენ.

ამისთანა მოქმედება სოკოს თესლისა საკვირველი არ არის, რადგან იმას მომწამლავი თვისება აქვს. ეხლა იმ თესლს ზოგიერთ ავადმყოფობაში საქონლის ექიმები წამლად ხმარობენ.

რადგან ჯერ ისეთი ღონისძიება ვერ მოუპოვებიათ, რომ ეს სოკო აეცდინოთ როგორმე სიმინდს ნოტიო წელიწადებში, და ზოგი ერთმა საქონლის პატრონმა აუცილებლად სიმინდის ფუჩეჩი უნდა აჭამოს თავის ფურებს, რადგან სხვა საჭმელი არ სადა აქვს, ამისთვის საქონლის პატრონმა ეს გაფრთხილება მაინც უნდა მოიხმაროს: ჯერ სიმინდის ფუჩეჩს უნდა მოაშოროს სოკოები, რომელიც შეუძლიანთ ყმაწვილებსაც, და ორი საათით წინ ჭმევამდის მარილ-წყალი დაასხას დაწმენდილ ფუჩეჩს და მერე აჭამოს საქონელს.

მაგრამ ყველას ის ემჯობინება, რომ მაკე ფურებს ნოტიო წელიწადში მოსული სიმინდის ფუჩეჩი არ აჭამონ, არამედ სხვა საჭმელი: თივა, ბზე, ქატოს სასველეპაეი და სხვა.

სახაზინო განცხადება.

რადგანაც იჯარის დრო არის საეკლესიო ორის ბაღისა სოფელს ქავთისხევში ბორის უეზდში, ამისათვის ამ 1868 წელს ენკენისთვის 2-სა იქნება ვაჭრობა ამ ბაღების იჯარით მიცემისათვის ქავკასიის წამესტნიკის უმთავრეს სამმართველოსთან სახელმწიფო მამულების სამმართველოში (въ управленіи государственными имуществами при главномъ управленіи Намѣстника Кавказскаго). მს ბაღები მიიცემა იჯარით იანვრის 1-დგან 1869 წელს. ამ იჯარის ალების მსურველთა საიმედო, კანონიერი გირაოები (ზალოგები) უნდა წარმოადგინონ.

ტფილისის საფოსტო სამმართველო აცხადებს, რომ ამ წელს აპრილის 15 ნიჩბისის-წყლის იემშჩიკმა მცხეთაში მისვლისას გზაზე იპოვნა ტყავის პორტმანი და შიგ ცხრა თითო მანეთიანი ლოტორეის ბილეთები სხვა და სხვა საზოგადოებათა. ამისგამოთ ვისაც დაუკარგავს, უნდა გამოაცხადოს ნამდვილის საბუთებით თავისი კუთვნილების უფლება საფოსტო სამმართველოში.

სახელმწიფო მამულების სამმართველოში 29 იქნება ვაჭრობა (ტორგი) ცხრა საეკლესიო დუქნების იჯარით მიცემისათვის. დუქნები იმყოფება სიონის ქუჩაზე და იჯარით მიეცემა ამ წლის ენკენისთვის 1-დგან. ვისაც სურს ამ დუქნების იჯარით ალება უნდა წარადგინონ საიმედო გირაოები (ზალოგები).

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

საკითხავი წიგნი მოსწავლე ყმაწვილებისთვის, ი. ბოგებაშვილისგან შედგენილი, დანიშნულ დროზედ ვერ გამოვიდა, სხვათა შორის, იმიტომ, რომ ქავკასიის აქეთ მხრის კარტის დამატება საჭიროთ დარჩა. სექტემბრისთვის კი უთუოთ მზათ იქნება. სიგრცით წიგნი თორმეტ თაბახამდის გასწევს. კარტის მაშტაბი იქნება: ერთ დუიმზედ 40 ვერსი.—

კერძოლებითი განცხადება.

ნ. წინამძღვრის შვილისა და ზ. ჯაყელის

ახლად გაღებული მაღაზია

იმყოფება კუკიის ხიდზე, უ. მირზოევის დუქნებში N N 12 და 13-ში.

ამ მაღაზიაში ისყიდება:

კოლონიური სავაჭრო:

ჩაი, გამოჩენილი რუს. ვაჭრის ოკრლოვის და პოპოვის მაგაზიიდგან;

შაქარი და ყავა სხვა და სხვა ღირსებისა.

გრანიცის ასასმელები:

შამპანსკი, კონიაკი, რომი, კიმელი, ხერესი და სხვ.

აგრეთვე:

ბოლანდიის ყველი, სარდინკა, ბევრნაირი მწნილი (გრანიცისა), ყველა გვარი სანელებელი, სტეარინის სანთელი და სხვა წვრილმანი სავაჭრო.

ამავე მაგაზიაში ისყიდება:

საუმაწვილო ტანისამოსი

ფეხსაცმელითა

და თავის მოსართულობით.

მოხსენებული მაგაზიის პატრონები დარწმუნებულნი არიან—მოიპოვებენ მსყიდველთაგან ნდობასა თავიანთ სავაჭროს კარგი ღირსებითა და რიგიანის ვაჭრობით, და იმედი აქვსთ საზოგადოება არ დააგდებს მათ უყურადღებოთ.

(*) ბილიოტინა არის თავის მოსაჭრელი მაშინა, რომელიც ფრანციაში მოიგონა დოქტორმა ბილიოტენმა ფრანციის რევოლუციის დროს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го іюня 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.